

შპს „არ ემ ჯი აურამაინ“

2016 წლის 28 სექტემბრიდან (დაფუძნების
თარიღი) 2017 წლის 31 დეკემბრამდე
პერიოდის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10



შპს „KPMG Georgia“
ჯი ემ თი პლაზა
მე-5 სართული, თავისუფლების მოედანი №4
თბილისი, საქართველო 0105
ტელეფონი: +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ პარტნიორებს

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას 2016 წლის 28 სექტემბრიდან (დაფუძნების თარიღი) 2017 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და სხვა ახსნითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2016 წლის 28 სექტემბრიდან (დაფუძნების თარიღი) 2017 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ქვემოთ, ჩვენი დასკვნის ნაწილში „*აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ჩვენ ვართ „კომპანიისგან“ დამოუკიდებელი და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

ხელმძღვანელობის ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს „ხელმძღვანელობის ანგარიშზე“. ჩვენი დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშს.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშის წაკითხვას და იმის განსაზღვრას, ხომ არ აქვს ადგილი ხელმძღვანელობის ანგარიშის არსებით შეუსაბამობას ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნას, ან სხვაგვარად აღმოჩნდება არსებითად დამახინჯებული.

ჩვენ არ გავცემთ რაიმე სახის მტკიცებულებას ხელმძღვანელობის ანგარიშის შესახებ. ჩვენ წავიკითხეთ ხელმძღვანელობის ანგარიში და ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ ხელმძღვანელობის ანგარიში:

- შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას და არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელიც მოთხოვნილია და შეესაბამება საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ.

ხელმძღვანელობის და მმართველობაზე უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე და ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნაზე, რომელიც, მათი თვალსაზრისით, უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებებისა.

მმართველობაზე უფლებამოსილი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის მიმოხილვაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მივიღოთ გონივრული რწმუნება შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შეცდომის ან თაღლითობის შედეგად გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორთა დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას. თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოშობილი უზუსტობები შესაძლებელია მოიაზრებოდნენ არსებითად, თუ ცალკე ან ერთობლივად შეუძლიათ გავლენა იქონიონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ას-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და მართებულია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი



შპს „არ ემ ჯი აურამაინი“
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა
გვერდი 3

არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში, ან, თუ შესაბამისი განმარტებითი შენიშვნა არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა, შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის უნარზე განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

კარენ საფარიანი

შპს „KPMG Georgia“
21 დეკემბერი, 2018 წელი



შპს „არ ემ ჯი აურამაინი“

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა
გვერდი 3

არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში, ან, თუ შესაბამისი განმარტებითი შენიშვნა არაა დეკლარირებული, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა, შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის უნარზე განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

კარემ საფარიანი

შპს „KPMG Georgia“

21 დეკემბერი, 2018 წელი

’000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2017
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	5	8,660
საბადოს ქონება	6	49,911
არამატერიალური აქტივები		61
სულ გრძელვადიანი აქტივები		58,632
მიმდინარე აქტივები		
მარაგები		951
ავანსები და სხვა მოთხოვნები		570
საგადასახადო აქტივები, წმინდა		1,010
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		98
სულ მიმდინარე აქტივები		2,629
სულ აქტივები		61,261
კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი	7	
საწესდებო კაპიტალი		36,396
დამატებითი შენატანი კაპიტალში		3,458
დაგროვილი ზარალი		(322)
სულ კაპიტალი		39,532
მიმდინარე ვალდებულებები		
სესხები და კრედიტები	8	17,323
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	4,406
მიმდინარე ვალდებულებები		21,729
სულ ვალდებულებები		21,729
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		61,261

შპს „არ ემ ჯი აურამაინ“
 მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2016 წლის 28 სექტემბრიდან (დაფუძნების თარიღი)
 2017 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის

'000 ლარი	2016 წლის 28 სექტემბრიდან (დაფუძნების თარიღი) 2017 წლის 31 დეკემბრამდე
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(476)
სხვა შემოსავალი	208
შედეგები საოპერაციო საქმიანობებიდან	(268)
ფინანსური ხარჯი	(54)
ზარალი მოგების გადასახადის გადახდამდე	(322)
მოგების გადასახადის ხარჯი	-
ზარალი და მთლიანი სრული ზარალი პერიოდის განმავლობაში	(322)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2018 წლის 21 დეკემბერს და მისი სახელით დოკუმენტს ხელს აწერენ:

 ჯონდო შუბითიძე
 გენერალური დირექტორი

 ნინო ყალიჩავა
 მთავარი ბუღალტერი

შპს „არ ემ ჯი აურამინი“
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2016 წლის 28 სექტემბრიდან (დაფუძნების თარიღი)
2017 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის

'000 ლარი	2016 წლის 28 სექტემბრიდან (დაფუძნების თარიღი) 2017 წლის 31 დეკემბრამდე
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(476)
სხვა შემოსავალი	208
შედევები საოპერაციო საქმიანობებიდან	(268)
ფინანსური ხარჯი	(54)
ზარალი მოგების გადასახადის გადახდამდე	(322)
მოგების გადასახადის ხარჯი	-
ზარალი და მთლიანი სრული ზარალი პერიოდის განმავლობაში	(322)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ
 2018 წლის 21 დეკემბერს და მისი სახელით დოკუმენტს ხელს აწერენ:

 ჯონდო შუბიტიძე
 გენერალური დირექტორი



 ნინო ყალიჩავა
 მთავარი ბუღალტერი

შპს „არ ემ ჯი აურამაინ“
 კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
 2016 წლის 28 სექტემბრიდან (დაფუძნების თარიღი)
 2017 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის

'000 ლარი	დამატებითი			
	საწესდებო კაპიტალი	შენატანი კაპიტალში	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის 28 სექტემბერს (დაფუძნების თარიღი)	-	-	-	-
პერიოდის მთლიანი სრული ზარალი				
ზარალი პერიოდის განმავლობაში	-	-	(322)	(322)
პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრეებთან				
სულ შენატანები და განაწილებები				
მესაკუთრეთა არაფულადი შენატანები (შენიშვნა 7)	36,396	3,458	-	39,854
სულ ოპერაციები მესაკუთრეებთან	36,396	3,458	-	39,854
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	36,396	3,458	(322)	39,532

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას თანდართულ შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების ნაწილს წარმოადგენენ.

'000 ლარი	2016 წლის 28 სექტემბრიდან (დაფუძნების თარიღი) 2017 წლის 31 დეკემბრამდე
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან	
ზარალი მოგების გადასახადის გადახდამდე	(322)
<i>კორექტირებები:</i>	
ცვეთასა და ამორტიზაციაში	14
წმინდა ფინანსურ ხარჯებში	54
საოპერაციო საქმიანობებში გამოყენებული ფულადი სახსრები სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე	(254)
<i>ცვლილებები:</i>	
ცვლილება მარაგებში	(951)
ცვლილება ავანსებსა და სხვა მოთხოვნებში	(273)
ცვლილება საგადასახადო აქტივებში, წმინდა	(1,010)
საოპერაციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(2,488)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან	
ძირითადი საშუალებების შეძენა	(7,788)
შენატანები საბადო ქონებაში	(5,178)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(66)
საინვესტიციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(13,032)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობებიდან	
ამონაგები სესხებიდან	15,671
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობებიდან	15,671
წმინდა ზრდა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში	151
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	-
უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებში მოძრაობის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(53)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	98

შენიშვნა	გვერდი	შენიშვნა	გვერდი
1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო	11	12. დაკავშირებული მხარეები	22
2. აღრიცხვის საფუძველი	12	13. ანგარიშგების წარმდგენის შემდგომი მოვლენები	23
3. სამუშაო და წარმდგენი ვალუტა	12	14. შეფასების საფუძველი	23
4. შეფასებისა და მსჯელობების გამოყენება	12	15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	23
5. ძირითადი საშუალებები	13	16. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული	29
6. საბადოს ქონება	14		
7. კაპიტალი და კაპიტალის მართვა	15		
8. სესხები და კრედიტები	16		
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17		
10. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა	17		
11. პირობითი ვალდებულებები	21		

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო

(a) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი იყენებენ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო და ფისკალურ სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(b) ორგანიზაცია და ოპერაციები

შპს „არ ემ ჯი აურამაინ“ (შემდგომში „კომპანია“) მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას წარმოადგენს. კომპანია დაფუძნდა 2016 წლის 28 სექტემბერს.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ალექსიძის ქ. №1. კომპანია დაარეგისტრირა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ და მისი რეგისტრაციის ნომერია: 405168740.

კომპანიას მიღებული აქვს მინერალური რესურსების, ძიების, მოპოვებისა და დამუშავების ლიცენზია ბექთაქარის საბადოზე, სამხრეთ საქართველოში ბოლნისისა და დმანისის რაიონების ტერიტორიაზე 2041 წლის ოქტომბრამდე.

2017 წლის განმავლობაში, კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს მიწისქვეშა საბადოს (ბექთაქარის პროექტი) მშენებლობა, რომელიც ბოლნისის რაიონის (საქართველო) სოფელ ბექთაქარშია განთავსებული, სამთო-მოპოვებელი სამუშაოების განხორციელების და ოქროს-პოლიმეტალური მადნების მინერალიზაციის და ოქროს შემადგენლობის მქონე მეორადი კვარციტის შემდგომი დამუშავების მიზნით. ბექთაქარის პროექტის მშენებლობის დასრულება იგეგმება 2019 წლის სექტემბრის ბოლოსთვის, ხოლო წარმოების პროცესის დაწყება - 2019 წლის ოქტომბრიდან არის დაგეგმილი.

კომპანიის 100 %-იანი წილის მფლობელი და პირდაპირი მშობელი არის შპს კავკასიის სამთო ჯგუფი (საქართველო) - მფლობელი, მესაკუთრე. შემდგომი მფლობელი არის შპს ფემთილონ ჰოლდინგს ლიმიტედი (კვიპროსი). კომპანიის დაფინანსების უმეტესი წილი და საკრედიტო ვალდებულება არის, ჯგუფში შემავალი სხვა კომპანიის მიმართ, რომლის თავშიც არის ფემთილონ ჰოლდინგს ლიმიტედი. ამის შედეგად კომპანიას არის ეკონომიკურად დამოკიდებულებული ჯგუფზე, ფემთილონ ჰოლდინგს ლიმიტედის თაოსნობით. ამას გარდა, კომპანიის საქმიანობა არის მჭიდროდ დაკავშირებული ჯგუფის მოთხოვნებთან და კომპანიის სერვისების ფასის განსაზღვრასთან ხდება ჯგუფში შემავალ სხვა კომპანიებთან ერთად, ფემთილონ ჰოლდინგს ლიმიტედის თაოსნობით.

კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი პირები ორი ფიზიკური პირია: დიმიტრი ტროიცი, და დიმიტრი კორჟევი, რომლებსაც აქვთ უფლება საკუთარი შეხედულებისამებრ და საკუთარი სარგებლისთვის წარმართონ კომპანიის ოპერაციები. მათ ასევე გააჩნიათ სხვადასხვა ბიზნეს ინტერესები კომპანიის გარეთ. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან აღწერილია მე-12 შენიშვნაში.

ბექთაქარის პროექტი

კომპანიის მშობელი კომპანია შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი“ (CMG) ფლობს საქართველოს ტერიტორიაზე კვლევა ძიებისა და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიას. 2011 წლიდან, „CMG“-მ განახორციელა სამთო-სამიწხო პროგრამა, რომლის დროსაც ბექთაქარის ტერიტორია სიღრმისეულად იქნა შესწავლილი. 2014 წელს „CMG“-მ დაიქირავა დამოუკიდებელი მესამე პირი საკონსულტაციო კომპანია „Bumigeme Inc.“ ბექთაქარის საბადოს ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ჩატარების მიზნით. შედეგები 2016 წლის ივნისის თვეში იყო მზად. ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შედეგებმა უჩვენა, რომ ბექთაქარის პროექტის განვითარებას სოლიდური ფინანსური ამონაგების მოტანა შეუძლია. შესაბამისად, „CMG“-მ მიიღო გადაწყვეტილება დაეწყო ობიექტის განვითარება, შვილობილი კომპანიების შექმნის გზით - შპს არ ემ ჯი აურამაინის.

საქართველოს ეკონომის და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ დამტკიცებულმა ბექთაქარის საბადოს შესაძლო მარაგმა შეადგინა 11,988 კგ ოქრო, 108,712 კგ ვერცხლი, 27,448 ტონა ტყვია და 57,528 ტონა თუთია. საბადოს მოსალოდნელი ვადის ხანგრძლივობა ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის 2024 წლამდე განისაზღვრა.

2. აღრიცხვის საფუძველი

შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც ასევე წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება არის წარდგენილი. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, თუ სხვაგვარად არ იქნება განსაზღვრული წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. შეფასებისა და მსჯელობების გამოყენება

ფასს-თან შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა ხორციელდება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის განსაზღვრისას კრიტიკული მსჯელობების შესახებ, რომლებიც არსებითი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე, განსაზღვრულია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 1(b) – მადნის მარაგები
- შენიშვნა 5(a) – ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების და აღდგენის შესაძლებლობის განსაზღვრა; და
- შენიშვნა 6 – დანახარჯების კაპიტალიზაცია და აღდგენის შესაძლებლობა საბადოს ქონების.

ინფორმაცია დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებული გაურკვევლობების შესახებ, რომლებიც მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში არსებითი ცვლილების გამოწვევის მნიშვნელოვანი რისკის წინაშე დგანან, განხილულია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 6(a) და შენიშვნა 7(a) – არაფულადი შენატანების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა;
- შენიშვნა 11 – პირობითი ვალდებულებები.

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის გარკვეული სააღრიცხვო პოლიტიკა და ინფორმაცია საჭიროებს ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას. სამართლიანი ღირებულებების განსაზღვრა შეფასების და ინფორმირების მიზნით მოხდა.

სამართლიანი ღირებულებები დაჯგუფებულია სხვადასხვა დონეების მიხედვით, სამართლიანი ღირებულების იერარქიაში იმ მონაცემების საფუძველზე, რომლებიც გამოყენებულია შეფასების მეთოდოლოგიაში:

- **დონე 1:** კოტირებული საბაზრო ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის.
- **დონე 2:** შემაჯავლი მონაცემები გარდა იმისა, რაც შესულია პირველ დონეში და რომლებიც ხელმისაწვდომია აქტივისა და ვალდებულებისთვის, როგორც პირდაპირ (მაგ. ფასები), ასევე ირიბად (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- **დონე 3:** მონაცემები აქტივისა და ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივისა ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების დაჯგუფება შესაძლოა სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეებში, მაშინ სამართლიანი ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში, სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრაში გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია შენიშვნაში 10(a).

5. ძირითადი საშუალებები

'000 ლარი	ავტომობილები,				
	ქონება	მანქანა-დანადგარები	ავეჯი და ხელსაწყოები	სხვა	სულ
თვითღირებულება					
ნაშთი 2016 წლის 28 სექტემბრის (დაფუძნების თარიღი) მდგომარეობით	-	-	-	-	-
შესყიდვები	4,981	2,412	104	291	7,788
დამატებები კაპიტალში შენატანების სახით	34	1,927	54	-	2,015
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,015	4,339	158	291	9,803
დაგროვილი ცვეთა					
ნაშთი 2016 წლის 28 სექტემბრის (დაფუძნების თარიღი) მდგომარეობით	(297)	(780)	(34)	(32)	(1,143)
ცვეთის ხარჯი პერიოდის განმავლობაში	(297)	(780)	(34)	(32)	(1,143)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის	(297)	(780)	(34)	(32)	(1,143)
საბალანსო ღირებულება					
2017 წლის 31 დეკემბრის	4,718	3,559	124	259	8,660

კატეგორია „სხვა“ მოიცავს სათადარიგო ნაწილებს 145 ათასი ლარის ოდენობით, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

(a) ცვეთა

2016 წლის 28 სექტემბრიდან (დაფუძნების თარიღი) 2017 წლის 31 დეკემბრამდე, ცვეთის ხარჯი 1,134 ათასი ლარის ოდენობით (იხილეთ მე-6 შენიშვნა) კაპიტალიზებულ იქნა დაუსრულებელი საბადოს კატეგორიაში, ხოლო დარჩენილი 9 ათასი ლარი ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებს დაერიცხა.

საბადოს მოსალოდნელი ვადის ხანგრძლივობა ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის 2024 წლამდე განისაზღვრა. აღნიშნული პერიოდი გამოიყენა კომპანიამ ძირითადი საშუალებებისა სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრად.

(b) უზრუნველყოფა

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითად საშუალებებში შესული უძრავი აქტივები და ყველა მოძრავი ქონება საბალანსო ღირებულებით 8,660 ათასი ლარი, დაგირავებულია სასესხო ხელშეკრულებისათვის, რომელიც გაფორმებულია შპს „არემჯი გოლდსა“ (ფემთილონ ჰოლდინგ ლიმიტედის ჯგუფში შემავალი კომპანია) და სს „საქართველოს ბანკს“ შორის (იხილეთ მე-8 შენიშვნა).

6. საბადოს ქონება

	დაუსრულებელი საბადო	ძიების და მოპოვების ლიცენზია	ძიების და შეფასების აქტივი	სულ
’000 ლარი				
ნაშთი 2016 წლის 28 სექტემბრის (დაფუძნების თარიღი) მდგომარეობით	-	-	-	-
შესყიდვები	12,072	-	-	12,072
დამატებები კაპიტალში შენატანების სახით	415	9,043	28,381	37,839
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	12,487	9,043	28,381	49,911

დაუსრულებელი საბადო მოიცავს ბექთაქარის პროექტის განვითარებისთვის გაწეულ კაპიტალურ დანახარჯებს და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგ ხარჯებს.

’000 ლარი	31 დეკემბერი 2017
ხელფასები და გასამრჯელოები	3,495
მასალების შესყიდვა	2,819
საკრედიტო ხარჯები	1,626
ცვეთა და ამორტიზაცია (შენიშვნა 5)	1,134
მძიმე მოწყობილობების მომსახურება	1,074
ფეთქებადი სამუშაოები	844
შესყიდვები კაპიტალში შენატანის სახით	345
საიჯარო ხარჯი	189
კომუნალური ხარჯი	26
საკონსულტაციო და პროფესიონალური ხარჯები	21
ტრანსპორტირება	5
სხვა	909
	12,487

2016 წლის 28 სექტემბრიდან (დაფუძნების თარიღი) 2017 წლის 31 დეკემბრამდე, კაპიტალიზებული საკრედიტო ხარჯი 1,626 ათასი ლარის ოდენობით, დაუსრულებელ საბადოსთან დაკავშირებით დარიცხული პროცენტის და უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ ზარალთან ერთად შეადგენს 1,223 ათას ლარს და 403 ათას ლარს (შესაბამისად), ხოლო კაპიტალიზაციის განაკვეთი შეადგენს 12.5%-ს.

დაუსრულებელ საბადოს ცვეთა არ ერიცხება მშენებლობის დასრულებამდე და სანამ აქტივი ხელმისაწვდომი არ გახდება დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად. ეს უკანასკნელი მოიცავს საბადოს ექსპლოატაციაში შეყვანას 2019 წლის ოქტომბრიდან.

(a) დამატებები კაპიტალში შენატანების სახით

2016 წლის 19 ოქტომბერს კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებით კაპიტალში მოხდა ბექთაქარის მადაროს ძიების და შეფასების ლიცენზიის შენატანი ნომინალური ღირებულებით 9,043 ათასი ლარი. 2016 წლის 8 ნოემბერს, კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებით ბექთაქარის მადაროსთან დაკავშირებული ძიებისა და შეფასების აქტივი შეტანილ იქნა კომპანიის კაპიტალში ნომინალური ღირებულებით 24,923 ათასი ლარი. ძიებისა და შეფასების აქტივი მოიცავს გეოლოგიურ კვლევებს და სამიეზო ხარჯებს, რომლებიც მშობელმა კომპანიამ გასწია, ბექთაქარის პროექტის სიცოცხლისუნარიანობის შეფასების მიზნით.

კაპიტალში შეტანის თარიღისათვის ძიებისა და შეფასების აქტივის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა 28,381 ათასი ლარის ოდენობით. 3,458 ათასლარიანი სხვაობა შეტანილი ძიებისა და შეფასების აქტივის სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდა კატეგორიაში „დამატებითი შენატანი კაპიტალში“ (მე-7 შენიშვნა).

აქტივის კონკრეტული ხასიათიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი კონტრიბუციის თარიღში განისაზღვრა თვითღირებულებაზე დაფუძნებული მიდგომით, რომელიც გულისხმობს ისტორიულ ღირებულებას დამატებული დროის განსხვავების კორექტირება, ასევე ეკონომიკური დამკვლევების ტესტს, რომელიც ჩატარდა იმის დასადგენად, რომ აქტივების მოსალოდნელი თვითღირებულება ანაზღაურებადია. შენატანის განხორციელების და ანგარიშგების წარდგენის თარიღებში გაუფასურების ნიშნები იდენტიფიცირებული არ ყოფილა.

(b) უზრუნველყოფა

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 49,911 ათასი ლარის ოდენობით არამატერიალური აქტივები და ყველა მოძრავი და უძრავი ქონება, მათ შორის საბადო ქონება დაგირავებულია სასესხო ხელშეკრულებისათვის, რომელიც გაფორმებულია შპს „არემჯი გოლდსა“ (ფემთილონ ჰოლდინგ ლიმიტედის ჯგუფში შემავალი კომპანია) და სს „საქართველოს ბანკს“ შორის (იხილეთ მე-8 შენიშვნა).

7. კაპიტალი და კაპიტალის მართვა

(a) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში განსაზღვრულ კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას. საწესდებო კაპიტალის მფლობელები უფლებამოსილი არიან მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები და ასევე მათ აქვთ უფლებამოსილება კომპანიის დამფუძნებელთა კრებაზე საკუთრების პროცენტულობის შესაბამისი ხმის უფლების რაოდენობაზე.

	2016 წლის 28 სექტემბრიდან (დაფუძნების თარიღი) 2017 წლის 31 დეკემბრამდე
’000 ლარი	
ნაშთი 2016 წლის 28 სექტემბრის (დაფუძნების თარიღი) მდგომარეობით	-
მესაკუთრეთა არაფულადი შენატანები	
ძიების და შეფასების აქტივის კონტრიბუცია (მე-6 შენიშვნა)	28,381
ძიების და მოპოვების ლიცენზიის კონტრიბუცია (მე-6 შენიშვნა)	9,043
ძირითადი საშუალებების კონტრიბუცია (მე-5 შენიშვნა)	2,015
საბადო ქონების კონტრიბუცია	415
მესაკუთრეთა წმინდა არაფულადი შენატანები	39,854
დამატებითი შენატანი კაპიტალში	(3,458)
ნაშთი პერიოდის ბოლოს	36,396

2016 წლის 8 ნოემბერს, კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებით, ქონება, მანქანები და დანადგარები ნომინალური ღირებულებით 2,015 ათასი ლარი, შეტანილი იქნა კომპანიის კაპიტალში. შენატანის განხორციელების თარიღისათვის აქტივების სამართლიანი ღირებულება და ნომინალური ღირებულება ერთმანეთს უტოლდება.

(b) დამატებითი შენატანი კაპიტალში

დამატებითი შენატანი კაპიტალში წარმოადგენს სხვაობას კომპანიის საწესდებო კაპიტალში შეტანილი არაფულადი ერთეულების ნომინალურ და სამართლიან ღირებულებებს შორის.

2016 წლის 8 ნოემბერს, კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებით კომპანიის კაპიტალში არაფულადი შენატანის ნომინალური ღირებულება იყო 24,923 ათასი ლარი (შენიშვნა 6(a)), მაშინ როდესაც კაპიტალში შეტანის თარიღისათვის მისი სამართლიანი ღირებულება იყო 28,381 ათასი ლარი, ამგვარად, აღნიშნულ თანხებს შორის სხვაობა 3,458 ათასი ლარის ოდენობით, რომლის თაობაზეც მფლობელის გადაწყვეტილება არ არსებობდა, აღიარდა როგორც დამატებითი შენატანი კაპიტალში.

(c) დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთის ოდენობით, რომელიც წარმოდგენილია ფასს-ების შესაბამისად მომზადებულ კომპანიის ნორმატიულ ფინანსურ ანგარიშგებაში. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა აკუმულირებული ზარალი 322 ათასი ლარის ოდენობით.

(d) კაპიტალის მართვა

კომპანიას არ გააჩნია კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს კაპიტალის საკმარისი ბაზა კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და ასევე შეინარჩუნოს ბაზრის ნდობა და საქმიანობის მომავალი განვითარების ტემპი. ეს მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვით, რაც უმეტესად ფინანსდება კომპანიის დაკავშირებული მხარეების მიერ, სესხის ფინანსირების გზით (იხილეთ მე-8 შენიშვნა).

კომპანიის მიდგომაში კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით წლის განმავლობაში ცვლილება არ განხორციელებულა. კომპანია არ ექვემდებარება გარეშე პირებიდან დაკისრებულ კაპიტალის მოთხოვნებს.

8. სესხები და კრედიტები

მოცემულ შენიშვნაში წარმოდგენილია ინფორმაცია კომპანიის ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული პროცენტის მატარებელი სესხების სახელშეკრულებო ვადების შესახებ. საპროცენტო განაკვეთის, სავალუტო და ლიკვიდურობის რისკზე კომპანიის დაქვემდებარების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ მე-10 შენიშვნაში.

’000 ლარი

მიმდინარე ვალდებულებები

სესხი დაკავშირებული მხარისგან

31 დეკემბერი 2017

17,323

დაკავშირებული მხარის სესხი მიღებულია შპს „არემჯი გოლდისგან“ კომპანიის ყოველდღიური

ოპერაციების და ბექთაქარის პროექტის დაფინანსების მიზნით. თავად შპს „არ ემ ჯი გოლდმა“ (ფემთილონ ჰოლდინგ ლიმიტედის ჯგუფში შემავალი კომპანია) სესხი სს „საქართველოს ბანკისგან“ მიიღო, კომპანიის ყველა უძრავ-მოძრავი ქონების დაგირავების გზით.

დაუფარავი სესხების ვადები და პირობები იყო შემდეგი:

			31 დეკემბერი 2017	
	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
'000 ლარი	ვალუტა			
არაუზრუნველყოფილი სესხი	აშშ			
დაკავშირებული მხარისგან	დოლარი	12.25%	2018	17,323
სულ სესხები და კრედიტები				17,323

არაუზრუნველყოფილი სესხი დაკავშირებული მხარისგან არის საკრედიტო ხაზი, რომლის ფარგლებშიც კომპანიას აქვს გამოუყენებელი საკრედიტო სახსრები 11,726 ათასი დოლარის ოდენობით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (იხილეთ მე-13 შენიშვნა).

(a) **ფინანსური საქმიანობებიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებთან დაკავშირებულ ვალდებულებებში მოძრაობის შეჯერება**

'000 ლარი	სესხები და კრედიტები
ნაშთი 2016 წლის 28 სექტემბრის (დაფუძნების თარიღი) მდგომარეობით	-
ამონაგები სესხებიდან	15,671
სულ ცვლილებები ფულადი სახსრების დაფინანსებიდან	15,671
სხვა ცვლილებები	
საპროცენტო ხარჯი	1,233
უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი ზარალი	419
სულ ვალდებულებებთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	1,652
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	17,323

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2017
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ	4,016
ვალდებულებები მიმწოდებლების მიმართ	58
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	95
სხვა ვალდებულებები	237
	4,406

კომპანიის დაქვემდებარება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებულ სავალუტო და ლიკვიდურობის რისკზე განხილულია მე-10 შენიშვნაში.

10. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა

(a) **ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება**

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზანია ფასის განსაზღვრა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისგან, ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის, ბაზრის მონაწილეებს შორის ოპერაციის ფარგლებში, შეფასების თარიღისთვის. თუმცა შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნას ინტერპრეტირებული, როგორც რეალიზებადი თანხა აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვის ან ვალდებულებების გადაცემისას.

კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკის გამოყენებით. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება დაანგარიშდება ძირითადი თანხისა და საპროცენტო მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც ანგარიშგების თარიღში პროცენტის საბაზრო განაკვეთით დისკონტირდება.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მიახლოებულია საბალანსო ღირებულებასთან.

(b) ფინანსური რისკების მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობის გამო კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი (იხილეთ შენიშვნა 24(b)(ii);
- ლიკვიდურობის რისკი (იხილეთ შენიშვნა 24(b)(iii);
- საბაზრო რისკი (იხილეთ შენიშვნა 24(b)(iv);
- საპროცენტო განაკვეთის რისკი (იხილეთ შენიშვნა 24(b)(v);
- საოპერაციო რისკი (იხილეთ შენიშვნა 24(b)(vi).

ამ შენიშვნაში მოცემულია ინფორმაცია ზემოთ ჩამოთვლილ თითოეულ რისკზე კომპანიის დაქვემდებარების შესახებ, ასევე კომპანიის მიზნებზე, პოლიტიკებსა და რისკების შეფასებისა და მართვის პოლიტიკებსა და პროცესებზე. დამატებითი რაოდენობითი ინფორმაცია შესულია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

(i) რისკების მართვის სტრუქტურა

სამეთვალყურეო საბჭოს, ხელმძღვანელობასთან ერთად აქვს სრული პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დანერგვასა და მიმოხილვაზე; ის პასუხს აგებს კომპანიის რისკების მართვის შემუშავებასა და მონიტორინგზე და ამ საქმიანობასთან დაკავშირებით რეგულარულად წარუდგენს ანგარიშს პარტნიორებს.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების სათანადო საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების დადგენისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის გაკონტროლებისთვის. რისკების მართვის პოლიტიკა და სისტემები რეგულარულად გადაიხედება, რათა აისახოს შესაბამისი ცვლილებები საბაზრო პირობებსა და კომპანიის საქმიანობაში. ტრენინგების, მართვის სტანდარტებისა და პროცედურების გამოყენებით კომპანიის მიზანს წარმოადგენს მოწესრიგებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული ექნება თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკს, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მფლობელი მეორე მხარე ვერ დააკმაყოფილებს მის სახელმძღვანელო ვალდებულებებს. კომპანიის საკრედიტო რისკი ძირითადად წარმოიშობება ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებიდან. კომპანიის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები განთავსებულია საქართველოს ბანკში, რომელსაც Fitch-ის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვს შეფასება B. ხელმძღვანელობა არ მოელოდა, რომ ხსენებული კონტრაქტები ვერ დააკმაყოფილებს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს და, შესაბამისად, სჯერა, რომ კომპანია არ დგას მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის წინაშე.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის

ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება. ლიკვიდურობის მართვის კომპანიისეული მიდგომა განსაზღვრულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ შესაძლებლობის ფარგლებში მას ყოველთვის ჰქონდეს სათანადო ლიკვიდურობა ვალდებულების ვადაში დასაფარად, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ პერიოდში, არასაჭირო დანაკარგების ან კომპანიის რეპუტაციაზე ზიანის მიყენების გარეშე.

ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს, რომ კომპანიის საინვესტიციო საქმიანობები დაფინანსდეს დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხებით და კრედიტებით, სანამ კომპანია არ დაიწყებს ფულადი სახსრების გენერირებას მის მიერ განხორციელებული ოპერაციებიდან. ხელმძღვანელობა ასევე უზრუნველყოფს, რომ კომპანია ფლობდეს საკმარისი ოდენობით ხელმისაწვდომ ფულად სახსრებს საკუთარი ფინანსური ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად, რომლებიც წარმოიშვება ყოველდღიური ოპერაციებით ან ზოგიერთი გაუთვალისწინებელი ვითარების გამო.

ლიკვიდურობის რისკზე დაქვემდებარება

ქვემოთ წარმოდგენილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფინანსური ვალდებულებების დარჩენილი სახელშეკრულებო ვადები. თანხები წარმოდგენილია ბრუტო და დაუქვითავი ფორმით და ისინი მოიცავს პროცენტის სავარაუდო გადახდებს და გამორიცხავს ურთიერთჩათვლის ხელშეკრულების გავლენას.

31 დეკემბერი 2017 '000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	3-დან 12 თვემდე
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები			
სესხი დაკავშირებული მხარისგან *	17,323	19,329	19,329
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,311	4,311	4,311
	21,634	23,640	23,640

*კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, მოსალოდნელია, რომ სესხების დაფარვა გახანგრძლივდება კომპანიის მიერ ფუნქციონირების დაწყებამდე 2019 წელს.

(iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო კონვერტაციის განაკვეთებს, საპროცენტო განაკვეთებსა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

კომპანია არ იყენებს ჰეჯირების ანგარიშგებას მოგებაში ან ზარალში არასტაბილურობის მართვის მიზნით.

სავალუტო რისკი

კომპანია დგას სავალუტო რისკის წინაშე საბანკო ნაშთებთან, სესხებსა და კრედიტებთან მიმართებაში, რომლებიც აშშ დოლარშია დენომინირებული.

დაქვემდებარება სავალუტო რისკზე

კომპანიის დაქვემდებარება უცხოური ვალუტის რისკზე იყო შემდეგი:

'000 ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული 31 დეკემბერი 2017
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	96
სესხები და კრედიტები	(17,323)
წმინდა დაქვემდებარება	(17,227)

წლის განმავლობაში მოქმედებდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

ლარი	Spot-განაკვეთი ანგარიშგების წარდგენის თარიღში	
	საშუალო განაკვეთი 2016 წლის 28 სექტემბრიდან (დაფუძნების თარიღი) 2017 წლის 31 დეკემბრამდე	31 დეკემბერი 2017
1 აშშ დოლარი	2.5049	2.5922

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის გონივრულ ფარგლებში შესაძლო გამყარება (შესუსტება), ქვემოთ მითითებულის შესაბამისად, აშშ დოლართან მიმართებაში 2017 წლის 31 დეკემბერს, რომელიც მოქმედებს აშშ დოლარში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტის შეფასებაზე და ასევე მოგებასა და ზარალზე (გადასახადების ჩათვლით), წარმოდგენილია ცხრილში ქვემოთ. ანალიზი ადგენს, რომ ყველა სხვა ცვლადი, კონკრეტულ საპროცენტო განაკვეთში, უცვლელი რჩება და ის უარყოფს მომავალი გაყიდვებისა და შესყიდვების ნებისმიერ გავლენას.

’000 ლარი	გამყარება მოგება ან (ზარალი)	შესუსტება მოგება ან (ზარალი)
31 დეკემბერი 2017 წელი აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	1,723	(1,723)

(v) საპროცენტო განაკვეთის რისკი

ცვლილებები გაცვლით კურსებში გავლენას ახდენენ პირველ რიგში სესხებსა და კრედიტებზე სამართლიანი ღირებულების (ფიქსირებულ განაკვეთიანი სესხი) ან ფულადი სახსრების მომავალი მოძრაობის (ცვალეზად განაკვეთიანი სესხი) ცვლილების გზით. ხელმძღვანელობას არ აქვს ფორმალური პოლიტიკა იმის განსასაზღვრად, თუ როგორი უნდა იყოს კომპანიის ძირითადი და ცვალეზადი განაკვეთების დამოკიდებულება. ამასთან, ახალი სესხებისა და კრედიტების აღების დროს, ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იმისათვის, რომ გადაწყვიტოს სჯერა თუ არა მას, რომ ფიქსირებული ან ცვალეზადი განაკვეთი უფრო სასარგებლო იქნება კომპანიისთვის მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, მათი დაფარვის ვადის დადგომამდე.

საპროცენტო განაკვეთის რისკზე დაქვემდებარება

ანგარიშგების წარდგენის თარიღში, კომპანიის პროცენტის მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთის პროფილი იყო შემდეგი:

’000 ლარი	საბალანსო ღირებულება 2017
ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტები	
ფინანსური ვალდებულებები	(17,323)
	(17,323)

სამართლიანი ღირებულების მგრძნობელობის ანალიზი ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტებისთვის

კომპანია არ ახდენს მისი ფიქსირებულგანაკვეთიანი ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებით აღრიცხვას მოგებაში და ზარალში ასახვით ან სავაჭროდ ხელმისაწვდომ აქტივებში. შესაბამისად, საანგარიშგებო დღისთვის საპროცენტო განაკვეთების ცვლილება არის მოგება-ზარალზე ან კაპიტალზე.

(vi) საოპერაციო რისკი

(a) სამთო-მომპოვებელ სამუშაოებთან დაკავშირებული საქმიანობები

სამთო-მომპოვებელ სამუშაოებთან დაკავშირებული საქმიანობები მათი საქმიანობებიდან გამომდინარე მრავალ საოპერაციო რისკს და ფაქტორს ექვემდებარება, რომლებიც ზოგადად

კომპანიის კონტროლს სცდება და შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის საქმიანობაზე, საოპერაციო შედეგებსა და ფულად ნაკადებზე. ეს საოპერაციო რისკები და ფაქტორები შეუზღუდავად მოიცავს შემდეგ ფაქტორებს: (i) მიწისა და წყლის დაუგეგმავი პირობები და ნეგატიური მოთხოვნები წყალთან დაკავშირებული უფლებების შესახებ, (ii) გეოლოგიური პრობლემები, მათ შორის მიწისძვრები და სხვა ბუნებრივი კატასტროფები, (iii) მეტალურგიული და სხვა ფორს-მაჟორული ვითარებები, (iv) უჩვეულო ამინდის ან სამუშაო პირობების წარმოშობა და სხვა ფორს-მაჟორული ვითარებები, (v) მადნის მოსალოდნელზე დაბალი შემცველობა ან ამოღებადობის განაკვეთები, (vi) უბედური შემთხვევები, (vii) საჭირო სახელმწიფო ნებართვების მიღების შეფერხება ან მიუღებლობა, (viii) სასამართლო საქმეთა წარმოების შედეგები, მათ შორის სააგენტო გადაწყვეტილებების გასაჩივრება, (ix) საძიებო და განვითარების სამუშაოებთან დაკავშირებული გაურკვევლობები, (x) შეფერხებები ტრანსპორტირებაში, (xi) შრომითი დავები, (xii) დამაკმაყოფილებელი სადაზღვევო ანაზღაურების მიღების შეუძლებლობა, (xiii) მასალების და ხელსაწყოების ხელმიუწვდომლობა, (xiv) მოწყობილობების ან პროცესების გაუმართაობა სპეციფიკაციების ან მოლოდინების შესაბამისად, (xv) მოულოდნელი სირთულეები, რომლებიც ითვალისწინებს შემენილ ოპერაციებს და მოსალოდნელი უკუგების მიუღწევლობას და (xvi) ფინანსური მცდელობების შედეგები და ფინანსური ბაზრის პირობები.

(b) ოქროს ფასის არასტაბილურობა

კომპანიის ფინანსური მაჩვენებელი დიდად არის დამოკიდებული ოქროს ფასზე, რაზეც კომპანიის კონტროლს მიღმა მყოფი მრავალი ფაქტორი მოქმედებს. ოქრო წარმოადგენს საქონელს, რომელიც ლონდონის ძვირფასი ლითონების ბაზარზე, ტოკიოს სასაქონლო ბირჟაზე, ნიუ იორკის სასაქონლო ბირჟაზე (COMEX) და ციურიხის ოქროს ფონდში იყიდება. კომპანიას დაგეგმილი აქვს ოქროს გაყიდვა ლონდონის ძვირფასი ლითონების ბირჟაზე კოტირებული ფასებით. ხსენებულ ბირჟაზე ანგარიშგებულ ოქროს ფასზე მნიშვნელოვნად მოქმედებს მრავალი ფაქტორი, მათ შორის (i) ოქროზე მოთხოვნის და მიწოდების ნაშთი მსოფლიო მასშტაბით, (ii) გლობალური ეკონომიკური ზრდის განაკვეთები, ტენდენციები ძვირფასი ლითონების წარმოებაში, რომლებიც უკავშირდება ოქროს მოთხოვნას, (iii) ეკონომიკური ზრდა და პოლიტიკური პირობები ინდოეთსა და აზიის სხვა ქვეყნებში, რომლებიც მსოფლიოს უმსხვილესი მომხმარებლები გახდნენ, ასევე სხვა განვითარებადი ეკონომიკები, (iv) სპეკულაციური საინვესტიციო პოზიციები ოქროსა და ოქროს ფიუჩერსებში, და (v) ვალუტის გაცვლითი კურის მერყეობა, მათ შორის აშშ დოლარის გამყარება. ოქროს ბაზარი არასტაბილური სეგმენტია. 2017-2016 წლებში ლონდონის ძვირფასი ლითონების ბაზრის ასოციაციის ყოველდღიური საანგარიშგებო ფასები ერთ უნცია ოქროზე 1,249 აშშ დოლარიდან 1,258 აშშ დოლარამდე მერყეობდა.

ოქროს დაბალი ღირებულების ხანგრძლივი პერიოდი უარყოფითად იმოქმედებდა კომპანიის მოგებასა და ფულად ნაკადებზე.

11. პირობითი ვალდებულებები

(a) დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების პროცესშია და მსოფლიოს სხვა ნაწილებში მოქმედი სადაზღვევო დაცვის მრავალი ფორმა ჯერ ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას აქვს სრული სადაზღვევო ანაზღაურება მისი ძირითადი საშუალებებისა და მესამე პირთა ვალდებულებებისთვის ძირითადი საშუალებების დაზიანებასთან მიმართებაში, რომლებიც წარმოიშვება კომპანიის ქონებასთან დაკავშირებული უბედური შემთხვევებიდან ან უკავშირდება კომპანიის ოპერაციებს. ამასთან, კომპანიას არ აქვს სადაზღვევო ანაზღაურება ბიზნეს ჩარევაზე და არსებობს რისკი, რომ კონკრეტული აქტივების დაკარგვას ან განადგურებას შესაძლოა ჰქონდეს მატერიალური უარყოფითი გავლენა კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

(b) საგადასახადო პირობით ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, დამატებით გადასახადის, ჯარიმის ან მოსაკრებლების ვალდებულება შესაძლოა არ დაერიცხოს საგადასახადო უწყების მიერ თუ იმ წლის შემდეგ, როდესაც ამგვარი დარღვევა წარმოიშვა სამი წელი იქნება გასული.

ამგვარმა ვითარებამ შესაძლოა წარმოქმნას საგადასახადო რისკები, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით მაღალია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ მან სათანადოდ უზრუნველყო საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავდებოდეს კომპანიისეული ინტერპრეტაციისგან და იმ შემთხვევაში, თუ უწყებები წარმატებით შესძლებენ მათი ინტერპრეტაციის ამოქმედებას, მათ შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(c) პირობითი ეკოლოგიური ვალდებულებები

კომპანია სხვადასხვა სახელმწიფო კანონს და რეგულაციას ექვემდებარება, რომლებიც ჰაერის დამაბინძურებელ ემისიებს, მავნე ნივთიერებების, მავნე ნარჩენების და სხვა ტოქსიკური მასალების გენერალიზებას, დამუშავებას, შენახვასა და განკარგვას ეხება. ხელმძღვანელობის აზრით, კომპანია აკმაყოფილებდა გარემო სდაცვით საკითხებთან დაკავშირებულ სახელმწიფო მოთხოვნებს და, შესაბამისად, კომპანიას არ აქვს რაიმე სახის პოტენციური პირობითი ეკოლოგიური ვალდებულება, რადგან ხელმძღვანელობას არ მიაჩნია, რომ უახლოეს მომავალში წარმოიშვება რაიმე სახის მსგავსი პირობითი ვალდებულება. ამასთან, საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა განვითარების პროცესშია და კანონმდებლობასა და მის ინტერპრეტაციებში პოტენციურმა ცვლილებებმა შესაძლოა წარმოშვას მატერიალური ვალდებულებები მომავალში.

12. დაკავშირებული მხარეები

(a) მშობელი და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

კომპანიის პირდაპირი მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი“. შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი“ არ გამოსცემს საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებას.

კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი პირები ორი ფიზიკური პირია: დიმიტრი ტროიცკი და დიმიტრი კორჟევი.

(b) მმართველი რგოლის ანაზღაურება

წამყვან ხელმძღვანელობას წლის განმავლობაში მიღებული აქვს შემდეგი ოდენობით ანაზღაურება, რაც შესულია ხელფასების კატეგორიაში:

’000 ლარი
ხელფასები და ბონუსები

2016 წლის 28 სექტემბრიდან
(დაფუძნების თარიღი)
2017 წლის 31 დეკემბრამდე
306

(c) სხვა ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

’000 ლარი	ოპერაციების ღირებულება 2016	
	წლის 28 სექტემბრიდან (დაფუძნების თარიღი) 2017 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისათვის	დაუფარავი ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
მიღებული სესხები:		
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	15,671	17,323
საქონლის და მომსახურებების შესყიდვა		
მშობელი კომპანია	1,192	1,192
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	2,824	2,824
საქონლის და მომსახურებების შესყიდვა:		
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	227	227

13. ანგარიშგების წარდგენის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების წარდგენის თარიღის (2018 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით) შემდგომ კომპანიამ აიღო სესხი დაკავშირებული მხარისგან 8,100 აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარში: 20,300 ათასი) ოდენობით.

ანგარიშგების წარდგენის თარიღის (2018 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით) შემდგომ კომპანიის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 486 ათასი ლარით, არა ფულადი შენატანების საფუძველზე.

14. შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული იქნა ქვემოთ განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკები.

ქვემოთ მოცემულია მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მაჩვენებელი, რომლის დეტალებიც ხელმისაწვდომია მომდევნო გვერდებში:

(a)	ფინანსური ხარჯი	23
(b)	ოპერაციები უცხოურ ვალუტაში	24
(c)	დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები	24
(d)	მოგების გადასახადი	24
(e)	მარაგები	25
(f)	ძირითადი საშუალებები	25
(g)	საბადო ქონება	26
(h)	ფინანსური ინსტრუმენტები	27
(i)	კაპიტალი	28
(j)	გაუფასურება	28

(a) ფინანსური ხარჯი

კომპანიის ფინანსური ხარჯი მოიცავს ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილ შემოსულობას ან ზარალს. უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი შემოსულობა და ზარალი აღირიცხება ნეტო საფუძველზე ფინანსური შემოსავლის ან ფინანსური ხარჯის სახით, იქედან გამომდინარე, თუ სად ხდება უცხოური ვალუტის მოძრაობა - წმინდა შემოსულობის, თუ წმინდა ზარალის პოზიციაში.

საკრედიტო ხარჯი, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება კვალიფიციური აქტივების შეძენას, მშენებლობას ან წარმოებას, კაპიტალიზდება შესაბამის კვალიფიციურ აქტივზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

(b) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ლარში, ოპერაციის თარიღში მოქმედი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით, კომპანიაში მოქმედ ფულად ერთეულში. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული შემოსულობა ან ზარალი ფულად ერთეულზე წარმოადგენს პერიოდის დასაწყისში არსებული საპროცენტო განაკვეთით და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით დაკორექტირებული, მოქმედი ვალუტის ამორტიზირებადი ღირებულებისა და პერიოდის ბოლოს არსებული, შესაბამისი გაცვლითი კურსით დაკორექტირებული, უცხოურ ვალუტაში გამოსახული ამორტიზირებადი ღირებულების სხვაობას.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით იზომებიან, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომლებიც იზომება ისტორიული ღირებულების საფუძველზე, კონვერტირდება ოპერაციის თარიღში მოქმედი გაცვლითი კურსის გამოყენებით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალში.

(c) დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

თანამშრომელთა მოკლევადიანი გასამრჯელოს ვალდებულებები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევის მომენტიდან. ვალდებულების აღიარება ხდება გადასახდელ თანხაზე, რომელიც გადაიხდება მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმის საფუძველზე, თუ კომპანიას აქვს მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ამგვარი თანხა თანამშრომლის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად და როდესაც ვალდებულება შესაძლოა ობიექტურად იქნას შეფასებული.

(d) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მიმდინარე და გადავადებული გადასახადები აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის უკავშირდება პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ერთეულებს.

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისათვის, აგრეთვე წინა წლების საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი დაზუსტება. მიმდინარე გადასახადის ვალდებულება ასევე მოიცავს დივიდენდებიდან გამომდინარე ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის

ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. მთავარ საგადასახადო ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან მოგების განაწილების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან საგადასახადო ობიექტი მოიცავს ხარჯებს და სხვა ვალდებულებებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებებს და ზღვარს გადაცდენილ წარმომადგენლობით ხარჯებს.

საგადასახადო ანაზღაურება ხელმისაწვდომია გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილი მიმდინარე გადასახადისთვის 2008-2016 წლებში, თუ ხსენებული მოგება ნაწილდება 2017 ან შემდგომ წლებში.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით იმ პერიოდში, როცა ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად ფაქტიური გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც გადაიხდება დივიდენდები.

(ii) გადავადებული გადასახადი

ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებული პირები არ განასხვავებენ აქტივების საგადასახადო ბაზებს და მათ საბალანსო ღირებულებებს და, შესაბამისად, არ წარმოიშობა გადავადებული საშემოსავლო გადასახადის აქტივები და ვალდებულებები.

(e) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგის ღირებულება ეფუძნება საშუალო შეწონილ პრინციპს და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე, წარმოებასა და გადამუშავებაზე და პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია მარაგების მოცემულ ადგილსა და მოცემულ მდგომარეობაში მისაწოდებლად. წარმოებული მარაგების და დაუსრულებელი სამუშაოს შემთხვევაში, თვითღირებულება მოიცავს წარმოების ზედნადები ხარჯების შესაბამის წილს, ნორმალურ საოპერაციო სიმძლავრის საფუძველზე. კაპიტალში შეტანილი მარაგების შემთხვევაში, თვითღირებულება განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას მარაგების სამართლიანი ღირებულებით.

ბიზნესის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში ნეტო სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას, გამოკლებული დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

(f) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები, მიწის გამოკლებით, ფასდება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

თვითღირებულება მოიცავს მის შეძენასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებს. თვითწარმოებული აქტივის ღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯების ღირებულებისაგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე სესხის პროცენტის კაპიტალიზაციას, აქტივის

დემონტაჟის, მოცილების და გამწმენდი სამუშაოების ჩატარების ღირებულებას. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აღჭურვილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზდება ძირითადი საშუალების ღირებულების ნაწილად.

როდესაც ძირითადი საშუალების ცალკეულ მნიშვნელოვან ნაწილებს განსხვავებული სასიცოცხლო ვადა აქვთ, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც აღნიშნული აქტივის ძირითადი კომპონენტები.

ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალებების კომპონენტის გამოცვლის ხარჯი აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, თუ შესაძლებელია, რომ კომპონენტში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოედინება, და მისი თვითღირებულება შესაძლოა ობიექტურად იქნას შეფასებული. გამოცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება.

ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მომსახურების ხარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში მათი წარმოშობის დღეს.

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და მზა მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ხოლო კომპანიის შიდა ძალებით დამზადებული აქტივი, მათი სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან. ცვეთა ეფუძნება აქტივის ღირებულებას, ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

ცვეთა უმეტესად კაპიტალიზდება დაუსრულებელ საბადოზე (იხილეთ შენიშვნა 5(b)) წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას.

პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების ერთეულების მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადა შემდეგია:

- | | |
|--------------------------------------|-----------|
| • ქონება | 7-8 წელი. |
| • მანქანა-დანადგარები | 5-7 წელი. |
| • ავტომობილები, ავეჯი და ხელსაწყოები | 3-5 წელი. |
| • სხვა | 3-5 წელი. |

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები ანგარიშგების წარდგენის ყველა თარიღში გადაიხედება და საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება.

(გ) საბადოს ქონება

სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანი უკავშირდება ოპერაციების ეტაპს. კომპანია სამთო-მომპოვებელი ოპერაციების განვითარების ეტაპზეა, რაც მინერალური რეზერვიდან პროდუქტის ამოღების, დამუშავების და ტრანსპორტირების საშუალებებზე წვდომას და ამოქმედებას, ასევე კომერციული წარმოებისთვის საჭირო სხვა მოსამზადებელ საშუალებებს გულისხმობს. დაუსრულებელი საბადო მოიცავს კაპიტალიზებულ განვითარების ხარჯებს მომპოვებელი საქმიანობებისთვის, რომელთა მიმართებაშიც ხდება მინერალური რესურსების ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის და კომერციული სიცოცხლისუნარიანობის დემონსტრირება, ასევე ძიებისა და მოპოვების ლიცენზიასა და ძიებისა და შეფასების აქტივებს. კაპიტალიზებული ხარჯები მოიცავს მასალების, პირდაპირი შრომის და ზედნადები ხარჯების ღირებულებას,

რომელიც პირდაპირ უკავშირდება აქტივის მომზადებას მისი დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად, ასევე კაპიტალიზებულ საკრედიტო ხარჯებს, ასევე ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯს.

საბადოს ქონება აღირიცხება თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. საბადოს ქონებას ცვეთა არ ერიცხება, სანამ არ დასრულდება მშენებლობა და აქტივები ხელმისაწვდომი არ იქნება მათი დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად. ეს მოხდება საბადოს წარმოების ფორმალურად დაწყების გზით.

(h) ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია არაწარმოებული ფინანსური აქტივების კლასიფიცირებას ახდენს ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების კატეგორიაში. კომპანია არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებს სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიას მიაკუთვნებს.

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები – აღიარება და აღიარების შეწყვეტა

კომპანია სესხებს და მოთხოვნებს თავდაპირველად აღიარებს მათი წარმოშობის თარიღში. ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება ვაჭრობის თარიღში, როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ინსტრუმენტის ხელშეკრულების მხარე.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ხელშეკრულების უფლებები აქტივისგან წარმოქმნილ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ის გადასცემს ფინანსურ აქტივზე სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების უფლებას გადასცემს ოპერაციაში, რომელშიც ხდება ფინანსური აქტივის ფლობის არსებითად ყველა რისკის გადაცემა. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი, რომელიც შექმნილია ან რომელსაც ფლობს კომპანია, აღიარდება როგორც ცალკე აქტივი ან ვალდებულება.

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები შესრულდება, გაუქმდება ან მათ ვადა გაუვა. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები გაიქვითება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ და მხოლოდ მას შემდეგ, რაც კომპანიას ექნება მიმდინარე სამართლებრივი უფლება გაქვითოს აღიარებული თანხები და ექნება სურვილი მოახდინოს ანგარიშსწორება წმინდა საფუძველზე ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის გაყიდვა და ვალდებულებების დაფარვა.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულად საბანკო ბალანსებს თავდაპირველი დაფარვით ვადით სამი ან ნაკლები თვე.

(ii) არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები - შეფასება

კომპანია არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში. ამგვარი ფინანსური ვალდებულებებია თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ნებისმიერი პირდაპირ დაკავშირებული საოპერაციო ხარჯის გამოკლებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ამგვარი ფინანსური ვალდებულებები ამორტიზირებული ღირებულებით ფასდება, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს მე-8 შენიშვნის შესაბამისად და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს მე-9 შენიშვნის შესაბამისად.

(i) კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი.

დამატებითი შენატანი კაპიტალში

კომპანიის აქციონერების მიერ განხორციელებული შენატანების ნომინალური ღირებულება, რომლისთვისაც არ არსებობს პარტნიორის გადაწყვეტილება შენატანის კომპანიის საწესდებო კაპიტალში გადატანის თაობაზე, განსაზღვრულია კატეგორიაში „დამატებითი შენატანი კაპიტალში“.

(j) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივი ფასდება ყოველ ანგარიშგების თარიღში, იმის განსასაზღვრად, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ის გაუფასურებულია. ფინანსური აქტივი გაუფასურებულად ითვლება, თუ ობიექტური მტკიცებულება მიუთითებს, რომ აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ მოხდა მისი გაუფასურება, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია აქტივიდან მისაღებ იმ შეფასებულ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელთა საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები

კომპანია ამ აქტივებთან დაკავშირებულ გაუფასურების მტკიცებულებას განიხილავს როგორც ინდივიდუალური აქტივის, ასევე - აქტივების ერთობლიობის დონეზე. ყოველი ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი აქტივები ინდივიდუალურად ფასდება გაუფასურებაზე. ინდივიდუალური აქტივები, რომლებიც არ ჩაითვლება გაუფასურებულად, შემდგომში შეფასდება ერთობლივად ნებისმიერი სახის გაუფასურებაზე, რაც წარმოიშვა, მაგრამ არ არის ჯერ დადგენილი. აქტივები, რომლებიც არ არიან ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი, ერთობლივად შეფასდება, აქტივების მსგავსი რისკის მიხედვით დაჯგუფების გზით.

ერთობლივი გაუფასურების შეფასებისას კომპანია იყენებს დეფოლტის ალბათობის, ხარვეზების აღმოფხვრის დროისა და გაწეული ზარალის ისტორიულ ტენდენციებს, რაც იცვლება ხელმძღვანელობის მსჯელობის საფუძველზე, იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა მიმდინარე ეკონომიკური და საკრედიტო პირობები იმ სახის, რომ ფაქტიური ზარალი აღემატებოდეს ან ნაკლები იყოს წარმოდგენილ ისტორიულ ტენდენციებზე.

გაუფასურების ზარალი დაანგარიშდება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირდება აქტივის თავდაპირველი მოქმედი საპროცენტო განაკვეთით. ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში და აისახება სარეზერვო ანგარიშზე. როდესაც კომპანია მიიჩნევს, რომ არ არსებობს აქტივის დაბრუნების რეალური პერსპექტივა, შესაბამისი თანხები ჩამოიწერება. გაუფასურებულ აქტივზე პროცენტის აღიარება გაგრძელდება, დისკონტირების დაბრუნების გზით. როდესაც შემდგომი მოვლენა იწვევს გაუფასურების ზარალის თანხის კლებას და ამგვარი კლება შესაძლოა ობიექტურად უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ გამოწვეულ ვითარებას, კლება გაუფასურების ზარალში აღდება მოგებაში ან ზარალში.

(ii) არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგებისა და გადავადებული საგადასახადო აქტივების გარდა) გადაიხედება ანგარიშგების წარდგენის ყოველი თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის აღდგენადი ღირებულება.

გაუფასურების ტესტირების მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების შემოძინების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობისთვის, რომლებიც დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ფულადი შემოძინებისგან ან ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულისგან (CGU). კომპანიის კორპორატიული აქტივები არ ახდენენ ცალკე ფულადი ნაკადების შემოძინების გენერირებას და ისინი მოიხმარენ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთზე მეტი ერთეულის სახით. კორპორატიული აქტივები გადანაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე გონივრულ და თანმიმდევრულ საფუძველზე და მოწმდება გაუფასურებაზე ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ტესტირების შემადგენელი ნაწილის სახით, რომელზედაც გადანაწილდება კორპორატიული აქტივი.

აქტივის ან ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის აღდგენადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ღირებულება) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება (გადასახადების გადახდამდე დისკონტის განაკვეთის გამოყენებით) ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება, თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მის მოსალოდნელ აღდგენად ღირებულებას აღემატება.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება ყოველ ანგარიშგების თარიღში ნებისმიერ მითითებაზე იმისა, რომ ზარალი შემცირებულია ან აღარ არსებობს. გაუფასურების ზარალი გაუქმდება თუ ადგილი ექნება ცვლილებას შეფასებებში, რომელიც გამოიყენება ანაზღაურებადი ღირებულების განსასაზღვრად. გაუფასურების ზარალი უქმდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აჭარბებს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის ან ამორტიზაციის გამოკლებით, თუ გაუფასურების ზარალი არ აღიარდებოდა.

16. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტი, შესწორება სტანდარტებში და ინტერპრეტაცია, რომლებიც 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯერ არ არის შესული ძალაში და არ გამოყენებულა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. ზემოთ აღნიშნულიდან, სავარაუდოდ შემდეგი ცვლილებები გავლენას მოახდენს კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზე. კომპანია გეგმავს აღნიშნული სტანდარტების ცვლილებების მიღებას მათი ძალაში შესვლისთანავე.

ფას 9 - ფინანსური ინსტრუმენტები

2014 წლის ივლისის გამოქვეყნებული ფას 9 ჩაანაცვლებს არსებულ მეთოდურ მითითებებს ბასს 39 ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება. ფას 9 მოიცავს განახლებულ მეთოდურ მითითებებს ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციაზე და შეფასებაზე, მათ შორის, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ახალ მოდელს ფინანსური აქტივების გაუფასურების

დასაანგარიშებლად და ჰეჯირების აღრიცხვის ახალ ზოგად მოთხოვნებს. აღნიშნული სტანდარტი ასევე ძალაში ტოვებს ბასს 39-იდან მეთოდურ მითითებებს ფინანსური ინსტრუმენტების აღიარებასა და აღიარების შეწყვეტაზე. ფასს 9 მოქმედია წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის 2018 წლის 1 იანვრიდან. ადრეული დანერგვა დაშვებულია.

ფასს 15 - ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ფასს 15 ადგენს ერთიან ჩარჩოს იმის განსაზღვრელად თუ რა ოდენობის შემოსავალი იყო აღიარებული და როდის ჰქონდა აღნიშნულს ადგილი. სტანდარტი ცვლის არსებულ მეთოდურ მითითებებს შემოსავლების აღიარების თაობაზე, მათ შორის, ბასს 18 (შემოსავალი), ბასს 11 (სამშენებლო ხელშეკრულებები) და ფასიკ 13 (კლიენტების ლოიალურობის პროგრამები). ახალი სტანდარტის ძირითადი პრინციპი ისაა, რომ ორგანიზაცია აღიარებს შემოსავალს, რათა ასახოს დანაპირები საქონლისა ან კლიენტებისთვის მომსახურების გადაცემა იმ თანხით, რომელსაც ორგანიზაცია მოელის საქონლისა ან მომსახურების გაცვლიდან. ახალი სტანდარტი ითვალისწინებს ახსნა-განმარტებებს შემოსავლის შესახებ, მოიცავს მეთოდურ მითითებებს იმ ოპერაციებისთვის, რომლებიც ადრე არ იყო განხილული სრულად და ასევე ხდება გაუმჯობესება იმ შეთანხმებებისთვის, რომლებიც მოიცავენ მრავალ კომპონენტს. ფასს 15 მოქმედია წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის 2018 წლის 1 იანვრიდან. მისი ვადაზე ადრე დანერგვა ნებადართულია.

ფასს 9 და ფასს 15-ის დანერგვის საგარუდო გავლენა

კომპანია ვალდებულია 2018 წლის 1 იანვრიდან მიიღოს ფასს 9 (ფინანსური ინსტრუმენტები) და ფასს 15 (ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან). კომპანიამ შეაფასა და განსაზღვრა, რომ ფასს 9 და ფასს 15-ის თავდაპირველ გამოყენებას არ ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე. ამ სტანდარტების მიღების შესაძლო გავლენა კომპანიის კაპიტალზე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ეფუძნება მოცემული თარიღისთვის განხორციელებულ წინამდებარე შეფასებებს.

ფასს 16 - იჯარები

ფასს 16 ჩანაცვლებს შემდეგ არსებულ სტანდარტებს და ინტერპრეტაციებს: ბასს 17 (ლიზინგი), ფასიკ 4 (როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას), იმკ 15 (საოპერაციო იჯარა - სტიმულირება) და იმკ 27 (გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას).

ეს სტანდარტი ძალაშია ყოველწლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია საწარმოებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 15-ს, ფასს 16-ს თავდაპირველი გამოყენების დღეს ან ამ თარიღამდე.

ფასს 16 განსაზღვრავს საბალანსო ერთჯერად, საბალანსო იჯარის აღრიცხვის მოდელს იჯარებისთვის. მოიჯარე აღიარებს გამოყენების უფლების მქონე აქტივს, რაც წარმოადგენს მის უფლებას ისარგებლოს ქვემდებარე აქტივით და საიჯარო ვალდებულებას, რომელიც საიჯარო გადახდების განხორციელების ვალდებულებას წარმოადგენს. არსებობს აღიარების გამონაკლისები მოკლევადიანი იჯარებისთვის და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო ერთეულებისთვის. მეიჯარის სააღრიცხვო პროცედურები არსებულ სტანდარტს ჰგავს - ე.ი. მეიჯარე განაგრძობს იჯარების ფინანსური ან საოპერაციო იჯარებად კლასიფიცირებას.

კომპანია აფასებს ფასს 16-ის მიღებით გამოწვეული მისი ფინანსური ანგარიშგებების პოტენციურ გავლენას. ფასს 19-ის გამოყენების ფაქტიური გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე თავდაპირველი გამოყენების პერიოდში დამოკიდებული იქნება მომავალ ეკონომიკურ პირობებზე, მათ შორის 2019 წლის 1 იანვარს კომპანიის საკრედიტო განაკვეთზე, კომპანიის საიჯარო პორტფელის შემადგენლობაზე, კომპანიის მიერ განხორციელებულ ბოლო შეფასებაზე იმასთან დაკავშირებით, ისარგებლებს ის თუ არა რაიმე სახის იჯარის განახლების ფუნქციით და ასევე კომპანიის მიერ პრაქტიკული ჩანაწერებისა და აღიარებების გათავისუფლების გამოყენებისთვის შერჩეულ დიაპაზონზე.

შპს არ ემ ჯი აურამაინის

ხელმძღვანელობის ანგარიში

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

დამტკიცებული მენეჯმენტის მიერ 2018 წლის 21 დეკემბერს

მოკლე მიმოხილვა

შპს „არ ემ ჯი აურამაინი“ დაარსდა 2016 წლის 28 სექტემბერს შპს „კავკასიის სამთო ჯგუფის“ (CMG) მიერ. შპს „არ ემ ჯი აურამაინი“ ბოლნისის მადნიან რაიონში (ბოლნისის მუნიციპალიტეტების ტერიტორია) ბექთაქარის საბადოზე ოქრო-პოლიმეტალური მადნების მოპოვების მიზნით ფლობს წიაღით სარგებლობის #1004034 ლიცენზიას რომელიც გაცემულია 2016 წლის 19 ოქტომბერს და მოქმედია 2041 წლის 10 ოქტომბრამდე.

ბექთაქარის საბადო მდებარეობს საქართველოში, ბოლნისის მადნიან რაიონის ცენტრალურ ნაწილში, დაახლოებით 18 კმ მანძილზე ქალაქ კაზრეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით და დაახლოებით 80 კმ მანძილზე დედაქალაქ თბილისის სამხრეთ დასავლეთით. უახლოეს დასახლებულ პუნქტს წარმოადგენს სოფელი ბექთაქარი რომელიც ემიჯნება საბადოს.

ბექთაქარის საბადოს გამოკვლევა მოხდა კვლევაზე ორიენტირებული კომპანიის შპს „კავკასიის სამთო ჯგუფის“ (CMG) მიერ. შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი“ წარმოადგენს ქართულ კომპანიას, და ის ფლობს ბექთაქარის საკუთრების 100%-ს. კვლევითი პროგრამა განხორციელდა 2011-2013 წლებში.

შპს კავკასიის სამთო ჯგუფის მიერ ჩატარებულმა კვლევით სამუშაოებმა შეადგინა 126 ალმასის ბურღვითი ხვრელი, სულ 34,787მ, 11 RC ხვრელი სულ 1,094მ და 37 მიწისზედა სანგარი დამუშავდა სულ 1454 მ ფართობზე.

ბექთაქარის საბადოში გვხვდება ორი სახის ოქროს მინერალიზაცია:

ოქრო-პოლიმეტალური მინერალიზაცია და

მინერალიზაცია რომელიც უკავშირდება კვარც-K-ფელსფარ მეტასომატიტს და ბარიტიზაციას.

ბექთაქარის პროექტი არის პოლიმეტალური საბადო რომლის ოქროც წარმოადგენს ყველაზე ძვირფას ლითონს, მას მოსდევს თუთია, ვერცხლი, ტყვია და სპილენძი (ხარისხის კლების მიხედვით). მინერალიზაციის ღირებულების 2/3-ზე მეტი მხოლოდ ოქროზეა დამყარებული.

საბადოს მშენებლობა ხორციელდება კანადური კომპანიის „BUMIGEME“-ის მიერ წარმოდგენილი ტექნიკურ ეკონომიკური დასაბუთების პროექტის მიხედვით. მშენებლობის პროცესში საბადოს სპეციალისტებს პროექტში შეაქვთ ცვლილებები, რომლებიც მიმართულია ხარჯების შემცირებაზე.

საბადოს გახსნა გათვალისწინებულია ავტოსატრანსპორტო და სავენტილაციო გვირაბით.

ამჟამად საბადოს გახსნა ხდება ავტოსატრანსპორტო გვირაბით.

ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მარაგები დამტკიცებულია 2016 წლის 01 იანვრის მდგომარეობით შემდეგი ოდენობითა და კატეგორიებით:

ცხრილი: 1

ოქრო-პოლიმეტალური მადანი									
კატეგორია	მადანი, ტონა	შემცველობა				რაოდენობა			
		Au, გ/ტ	Ag, გ/ტ	Pb, %	Zn, %	Au, კგ	Ag, კგ	Pb, ტონა	Zn, ტონა
გაზომილი	2 382 287	5.03	45.63	1.15	2.42	11 987.87	108 712	27 448	57 528

კომპანია 2019 წლის ოქტომბრიდან გეგმავს მოპოვების დაწყებას. იგეგმება 95 400 ტონა ოქრო-პოლიმეტალური მადნის მოპოვება.

კაპიტალური ხარჯები

ხარჯების გამოთვლა მოხდა პრინციპით +/-10%-დან 15%-მდე სიზუსტით. კაპიტალური ხარჯები ძვირფასი წიაღისეულის მოპოვებაზე შეადგენს 49.4 მილიონ დოლარს, აქედან 22.7 მილიონი დოლარი მიწისქვეშა ექსკავაციებზე, 2.3 მილიონი დოლარი მიწის ზედაპირზე აღჭურვილობაზე 21.6 მილიონი დოლარი მიწისქვეშა სამთამადნო აღჭურვილობაზე, 2.6 მილიონი დოლარი მიწისქვეშა კონსტრუქციებზე და 0.2 მილიონი დოლარი სხვადასხვა საჭიროებებისათვის.

ცხრილი 2: კაპიტალური ხარჯების განაწილება

აღწერა	ერთ	სულ	წარმ-წინ	წარმ.
საბადოს განვითარება	USD	\$22 611 461	\$9 900 080	\$ 12 711 381
მიწისზედა ინსტალაციები	USD	\$2 354 000	\$2 244 000	\$110 000
აღჭურვილობა	USD	\$21 623 399	\$16 166 556	\$5 456 843
მშენებლობა	USD	\$2 614 089	\$1 164 289	\$1 449 800
სხვადასხვა	USD	\$220 000	\$0	\$220 000
სულ კაპ.ხარჯი	USD	\$49 422 948	\$29 474 925	\$19 948 024

საოპერაციო ხარჯები

ხარჯების გამოთვლა მოხდა პირველი პრინციპით +/-10%-დან 15%-მდე სიზუსტით.

მდაროს არსებობის მანძილზე მთლიანი მიწისქვეშა სამუშაო ხარჯები უდრის 78.4 მილიონ დოლარს, საშუალოდ \$34.56 ტონაზე. წარმოებისწინა მიწისქვეშა საოპერაციო ხარჯები უდრის

5.65 მილიონ დოლარს. მიწისქვეშა საოპერაციო ხარჯები წარმოების პერიოდში უდრის 72.8 მილიონ დოლარს საშუალოდ \$32.42/ტონაზე.

მირითადი რისკები და გაურკვევლობები

ოქროს ფასების ცვალებადობა

კომპანიის ფინანსური შედეგები მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული ოქროს ფასებზე, რომლებიც თავის მხრივ სხვა მნიშვნელოვან ფაქტორზეა დამოკიდებული და კომპანიის კონტროლს გარეთაა; ოქროთი ვაჭრობა ჩვეულებრივად ხდება ლონდონის ოქროს ბირჟაზე (London Bullion Market), ტოკიოს სასაქონლო ბირჟაზე (Tokyo Commodity Exchange), ნიუ იორკის სასაქონლო ბირჟაზე (New York Commodity Exchange (COMEX)) და ციურიხის ოქროს ბირჟაზე (Zurich Gold Pool). კომპანიის ოქრო გაიყიდება ლონდონის ოქროს ბირჟაზე გამოცხადებული ოქროს ფასების საფუძველზე. მსოფლიოს ოქროს ფასები მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მათ შორის (1) მსოფლიო ოქროს მოთხოვნა მიწოდების თანაფარდობა(2) მსოფლიო ეკონომიკური ზრდის ტემპები, ასევე ძვირფასეულობის წარმოება რაც ოქროს მოთხოვნასთან არის კორელაციაში (3) ეკონომიკური ზრდა და პოლიტიკური სიტუაცია ინდოეთში და სხვა აზიურ ქვეყნებში რომლებიც გახდნენ ოქროს უდიდესი მომხმარებლები, ასევე სხვა განვითარებადი ქვეყნები (4) ოქროსა და ოქროს ფიუჩერსებში სპეკულაციური ინვესტიციები (5) გაცვლითი კურსების ცვალებადობა და აშშ დოლარის კურსის გამყარება. ოქროს ფასები ცვალებადია - 2017 წელს ყოველდღიური კურსები მერყეობდა 1,150 აშშ დოლარს და 1,343 აშშ დოლარს შორის; მნიშვნელოვანი პერიოდის განმავლობაში ოქროზე დაბალი ფასების შენარჩუნება უარყოფითად მოქმედებს კომპანიის მოგებასა და ფულად ნაკადებზე. ჯერ არ არის დაგეგმილი როგორ მოხდება მოცემული რისკის მართვა.

სამთო-მოპოვებითი ბიზნესის საქმიანობის რისკები

სამთო-მოპოვებითი ბიზნესის საქმიანობა ხასიათდება მრავალი საოპერაციო რისკებითა და ფაქტორებით, რომლებიც კომპანიის კონტროლს მიღმაა და გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე, ოპერაციულ შედეგებსა და ფულადი სახსრების ნაკადებზე. ეს საოპერაციო რისკები და ფაქტორები მოიცავენ, მაგრამ არ შემოიფარგლებიან:

(i) მიწისა და წყლის დაუგეგმავ მდგომარეობას

(ii) გეოლოგიურ პრობლემებს, მათ შორის მიწისძვრებს და სხვა სტიქიურ უბედურებებს

(iii) მეტალურგიულ და გადამუშავების პრობლემებს

(iv) უჩვეულო ამინდის ან სამუშაო პირობების და სხვა ფორმის ფორსმაჟორული მოვლენების წარმოშობას

(v) მოსალოდნელზე დაბალ შემცველობებსა და ამოკრეფის კოეფიციენტებს

(vi) უბედურ შემთხვევებს

(vii) სამთავრობო ნებართვების დაგვიანებულ მიღებას ან უარს

(viii) სამართალწარმოების, მათ შორის სააპელაციო გადაწყვეტილების გასაჩივრების შედეგებს

(ix) გაურკვევლობას სამთო-სადიებო საქმიანობისას

(x) ტრანსპორტირების შეფერხებას

(xi) შრომით დავებს

(xiii) სასურველი სადაზღვევო ანაზღაურების მიღების შეუძლებლობას

(xiii) საჭირო მასალებისა და აღჭურვილობის მოპოვების შეუძლებლობას

(xiv) სპეციფიკაციებისა და მოლოდინების შესაბამისად მოწყობილობების ან პროცესების წარუმატებელ მუშაობას

(xv) გაუთვალისწინებელ სირთულეებს შემენილ ოპერაციებთან და მოსალოდნელი უკუგების მიუღწევლობას

(xvi) დაფინანსების წყაროებისა და ფინანსური ბაზრის მდგომარეობას

მოცემული რისკების სრულად დაფარვა შეუძლებელია თუმცა კომპანიაში მაღალი კლასის გეოლოგების, იურისტებისა და სხვა სპეციალისტების დასაქმება ამცირებს მოცემული რისკების წარმოქმნის ალბათობას და უარყოფით შედეგებს.

სხვა რისკები

სხვა რისკები მოიცავს საპროცენტო განაკვეთის ზრდის რისკს, ვალუტის გაუფასურების და სხვა რისკებს; იმის გამო რომ კომპანიის გაყიდვები ძირითადად მოხდება უცხოურ ვალუტაში ამ სახის რისკების გავლენა უმნიშვნელო იქნება;

21 დეკემბერი 2018 წელი

გენერალური დირექტორი

ჯონდო შუბითიძე

წარმოების დირექტორი მიწ. სამთო
სამუშაოების უბანზე

ვახტანგ აბაშმაძე

(xi) შრომით დავებს

(xiii) სასურველი სადაზღვევო ანაზღაურების მიღების შეუძლებლობას

(xiii) საჭირო მასალებისა და აღჭურვილობის მოპოვების შეუძლებლობას

(xiv) სპეციფიკაციებისა და მოლოდინების შესაბამისად მოწყობილობების ან პროცესების წარუმატებელ მუშაობას

(xv) გაუთვალისწინებელ სირთულეებს შეძენილ ოპერაციებთან და მოსალოდნელი უკუგების მიუღწევლობას

(xvi) დაფინანსების წყაროებისა და ფინანსური ბაზრის მდგომარეობას

მოცემული რისკების სრულად დაფარვა შეუძლებელია თუმცა კომპანიაში მაღალი კლასის გეოლოგების, იურისტებისა და სხვა სპეციალისტების დასაქმება ამცირებს მოცემული რისკების წარმოქმნის ალბათობას და უარყოფით შედეგებს.

სხვა რისკები


სხვა რისკები მოიცავს საპროცენტო განაკვეთის ზრდის რისკს, ვალუტის გაუფასურების და სხვა რისკებს; იმის გამო რომ კომპანიის გაყიდვები ძირითადად მოხდება უცხოურ ვალუტაში ამ სახის რისკების გავლენა უმნიშვნელო იქნება;

21 დეკემბერი 2018 წელი



გენერალური დირექტორი

ჯონდო შუბითიძე



წარმოების დირექტორი მიწ. სამთო
სამუშაოების უბანზე

ვახტანგ აბაშმაძე